



### ლევან კოჭლამაზაშვილი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი,  
საქართველო

Levan.Kochlamazashvili285@hum.tsu.edu.ge



## ხატური KAŠTIBAN სიტყვა-ფორმის განმარტებისთვის

**ხ**ატური სამწერლობო ენა, მცირე აზიის სხვა ენებთან შედარებით, გამოირჩევა ორთოგრაფიული დარღვევების სიუხვით, რაც წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირად და მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. სწორედ ამგვარ შემთხვევას ეძღვნება წინამდებარე კვლევა. სასახლის აშენების სარიტუალო ტექსტში გვხვდება სიტყვა ფორმა kaštiban წინადადებაში: antaħan kaštiban katti<sup>1</sup> „აღებს კარს მეფე“. განვიხილოთ წინადადება.

ამ მარტივი წინადადების შემასმენელი წევრია antaħan ზმნური ფორმა, რომელშიც გამოიყოფა /a-/ S3 პირისა და /n-/ OI კლასის ნიშნები, /ta-/ ზმნისწინი და ħan- „გაღება, გახსნა“ ზმნური ძირი.

ერთი შეხედვით, kaštiban ფორმა მიცემითი ბრუნვით წარმოდგენილ სახელს უნდა გადმოსცემდეს და ფუძიდან ka-n ნიშან-კონფიქსსაც გამოვყოფდით<sup>2</sup>, თუმცა დამაფიქრებელია სახელი ო. სოფსალის შენიშვნა, რომ ამ სიტყვა-ფორმის უკანასკნელი [an] მარცვალი მომდევნო სიტყვას ეკუთვნის<sup>3</sup>. თავის მხრივ, მკვლევარი გვთავაზობს ამავე ფორმის სეგმენტაციას: ka-stib<sup>4</sup>, რაც მაინც მიცემით ბრუნვასთან უნდა გვაკავშირებდეს<sup>5</sup>.

მართლაც, (an) სილაბოგრამას ხატურ ტექსტებში ხშირად ვხვდებით DINGIR იდეოგრამის დანიშნულებით და ეს, ძირითადად, სწორედ katte „მეფის“ აღმნიშვნელ სიტყვა-ფორმებთან ხდება, ამის

1 KUB 2.2+ KUB 48.3 III.

2 შდრ. კოჭლამაზაშვილი 2016, 35.

3 Soysal 2004, 536-37.

4 იხ. იქვე.

5 კოჭლამაზაშვილი 2016, 34.

გათვალისწინებით, წინადადება ასე ჩაიწერებოდა: antaḥan kaštib Dkatti.

უცნაურია, მაგრამ ასეთი წინადადებაც არაბუნებრივად გამოიყურება, რადგან მისი გარდამავალი ობიექტი მიცემითის სახით მონაწილეობს სინტაქსურ კონსტრუქციაში. ო. სოფსალის დანაწევრებულ ფორმაში გამოყოფილი /ka-/ თავსართი არ უნდა მიგვანიშნებდეს დატივის ფორმით წარმოდგენილ სახელზე. ჩემი აზრით, აქაც ჩაწერით გამოწვეულ უხერხულობასთან გვაქვს საქმე და ერთად უნდა იყოს დაწერილი ka „იგი“ და štib „კარი“. ამის გათვალისწინებით, რომ ჩავწეროთ წინადადება, ასეთ სახეს მიიღებს: antaḥan ka štib Dkatti „აღებს იგი კარს, მეფეო“, სადაც წინადადების თითოეული წევრი გამართულ კონსტრუქციას აგებს: ka ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარე შეეთანხმება ზმნა-შემასმენელს რიცხვითა და პირით, ხოლო ფარული ირიბი ობიექტი, რომელსაც I კლასის /n-/ პრეფიქსი ასახავს ზმნაში, Dkatti უნდა იყოს, რომელსაც სარიტუალო ტექსტი მიემართება; ამდენად, ამ კონტექსტის გათვალისწინებით ზმნა უნდა ითარგმნოს: „გიღებს“.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს štib „კარი“ სიტყვა. ვვარაუდობ, რომ მას უკავშირდება „ღობის“ აღმნიშვნელი სვანური cib- ძირი<sup>1</sup>. შესაძლოა, გვეფიქრა ხათურ ფუძეში /š-/ სეგმენტის გამოყოფაზე და მიჩნეულიყო II კლასის ნიშნად, რაც სხვა შემთხვევებში გვაქვს (š(a)-kil „გული“, š(a)-wat „ვაშლი“...), თუმცა სვანურის ჩვენებამ ამ მიდგომის უმართებულობაში უფრო დამარწმუნა. მიუხედავად იმისა, რომ თვით ხათურსაც შეუძლია /z/ ბგერის გადმოცემა, შესაძლოა ეს სხვა ფონეტიკურ გარემოებას, მათ შორის, ორთოგრაფიასაც მიეწერებოდეს<sup>2</sup>.

ჩემი აზრით, ამავე ძირს მიესადაგება კოლხური sib-a „ლარტყა, ლარტყის კარი“, რომელსაც მეგრულში ადასტურებს ა. ქობალია<sup>3</sup>.

ქართულ ლექსიკაშიც მივაგენი ერთ სიტყვას, რომელიც ღირებულია ამ ძირებთან მიმართებით. ქიზიყურს მოეპოვება sip-ar-i შესიტყვების სახით – სიფარი კედელი, რომელსაც ს. მენთეშაშვილი „ცალპირა კედლის“ მნიშვნელობით განმარტავს<sup>4</sup>.

მაშასადამე:

ხათ.	štip-	„კარი“
სვან.	cib-	„ღობე“
კოლხ.	sib-	„ლარტყის კარი“
ქართ.	sip-	„ცალპირა კედელი“

წარმოდგენილ შესატყვისობაში თავს იჩენს რამდენიმე გარემოება:

ა) ხათურის შემთხვევაში št დაწერილობით რთული ბგერა გადმო-

1 თოფურია-ქაღდანი 2000 (ელექტრონული): [www.ice.ge/liv/liv/svanur1.php](http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php)

2 ვრცლად ხათური ორთოგრაფიის შესახებ იხ. Soysal 2004, 69-...

3 ქობალია 2010 (ელექტრონული): [www.ice.ge/liv/liv/megr.php](http://www.ice.ge/liv/liv/megr.php)

4 მენთეშაშვილი 1943, 109.

იცემა (სავარაუდოდ z, რომელიც მოეპოვება ხათურ ლურსმულსაც, თუმცა ტექსტებში  $\zeta/t/z$  თანხმომოვანთმონაცვლეობა შეინიშნება.

ბ) ანლაუტი საერთო აქვს კოლხურ-ქართულს (ს სპიანტი), განსხვავებით სვანურისაგან (და ხათურისაგანაც).

გ) აუსლაუტი საერთო აქვს კოლხურ-სვანურს, განსხვავებით ქართულისაგან. ამ კონტექსტში ხათურის მონაცემი კი ქართულისა ემთხვევა, თუმცა ტექსტში სიტყვა-ფორმა VC სილაბოგრამითაა ჩანერილი და ასეთი აგებულების მარცვლები არ განასხვავებს თანხმომონებს მჟღერობა-სიყრუით. საერთოდ, ხათურს ქართველურ ენებთან მიმართებით ახასიათებს ასეთი ბგერათფარდობა: ხათური ყრუ : ქართველური მჟღერი<sup>1</sup>.

დ) ვოკალური ელემენტი საერთოა ყველგან.

ვფიქრობ, ძირის პირველსახე სვანურს უნდა შემოენახოს და საერთო-ქართველური ფუძე ენის ქრონოლოგიურ დონეზე \*cib-უნდა ყოფილიყო. ამ მოცემულობას ხათურიც უნდა უჭერდეს მხარს, კოლხურ-ქართულში კი \*ც>ს სპირანტიზაციას უნდა ეჩინა თავი. ამავე \*cib- ძირს აღადგენს მ. ჩუხუა საერთო-ქართველურ დონეზე, თუმცა სხვა მონაცემებით<sup>2</sup>.

თავის მხრივ, ამ ძირთა ურთიერთდაკავშირებას ფონეტიკურ სტრუქტურასთან ერთად სემანტიკური სიახლოვეც ემხრობა: კარი : ღობე : კედელი - ზღვრის სემის შემცველი ლექსემებია, რომლებიც სივრცის სასრულს გამოხატავენ.

## დამონებაანი

ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000 (ელექტრონული): [www.ice.ge/liv/liv/svanur1.php](http://www.ice.ge/liv/liv/svanur1.php)

ლ. კოჭლამაზაშვილი, ხათური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი, 2016

ლ. კოჭლამაზაშვილი, ხათურ-ქართველური იზოგლოსებისთვის, ჟურნ. „აღმოსავლეთმცოდნეობა“, N5, თბილისი, 2015: გვ. 167-72

ს. მენტემაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943

ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010 (ელექტრონული): [www.ice.ge/liv/liv/megr.php](http://www.ice.ge/liv/liv/megr.php)

მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2017

Keilschrifturkunden aus Boghazkoi (KUB), N2. Berlin. 1922.

O. Soysal, Hattischer wortschatz in hethitischer Textüberlieferung. Chicago 2004.

<sup>1</sup> კოჭლამაზაშვილი 2015, 167-72.

<sup>2</sup> ჩუხუა 2017, 467.